შრომითი საჩუქრები—საპირველმაისოდ!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი № 85 (12597) | ოთხშაბათი, 10 აპრილი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

ცნობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოწვევის შესახებ

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება მოიწვიოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი 1963 წლის 28 მაისს.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმის განსახილველად შეტანილია საკითხი: **„პარტიის იდეოლოგიური მუშაობის მორიგი ამოცანები“.** მომხსენებლად დამტკიცებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. **ლ. თ. ილიჩოვი.**

ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ჰუშაკები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, მეცნიერების, სახალხო განათლების, პრესის, რადიოს, ტელევიზიის მუშაკები და შემოქმედებითი ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლები.

მეჯალურგთა შემჭრელობა ტ. პროდანოვის გამოშვებას

რუსთავი. (საკ. კორ.). საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებმა აღფრთოვანება გამოიწვია რუსთავის მშრომელთა შორის. გუშინ სამუშაოზე გასვლის წინ კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა გ. სიგუამ განაცხადა: — პარტია მეტალურგებს მოგვიწოდებს გავადიდოთ თუჯის, ფოლადის, ნაგლინის, მილების წარმოება. ჩვენ, რუსთავის მეტალურგებს, ღრმად გვაქვს შეგნებული ამ მოწოდების მნიშვნელობა. ამიტომ არის, რომ სისტემატურად ვზრდით მეტალურგიუ-ტ. პროდანოვის გამოშვებას. ჩვენ სა-ამქრო კვლავ მოწინავეთა რიგებში დგას. ფოლადის გამოშვების პირველი კვარტალის გეგმა გადაჭარბებით შევასრულეთ. ჩვენმა ბრიგადამ გეგმის ზევით გამოადნო 220 ტონა ფოლადი. ვალდებულებას გკისრულობთ ოთხი თვის დავალება 107 პროცენტით გავანაღდოთ.

საპირველმაისო მოწოდებებმა ფართო გამოხმაურება ჰპოვა ქიმიკოსებს შორისაც. აზოტოვანი სასუქების ქარხნის კოლექტივის ახალი გადაწყვეტილებაა ქიმიური პროდუქციის წარმოების ზრდასთან ერთად უახლოეს ხანში საექსპლოატაციოდ მოამზადოს კაპროლაქტამის მთავარი საწარმო.

მშრომელთა სუფრის დასამშვენებლად

ბათუმი. (საკ. კორ.). შავი ზღვის სანაპიროებთან გამოჩნდა მსხვილი სტავრიდული. ზღვაში გავიდნენ ბათუმის მეთევზეთა კომბინატის სეინერები. კაპიტან-ბრიგადირის გ. უკლებას ეკიპაჟმა ბადის პირველ სროლაზე 878 ცენტნერი სტავრიდული დაიჭირა.

ამდენი თევზი ერთად ამ ორი წლის მანძილზე არავის დაუჭერია. ეკიპაჟმა მომდინარე წელს სამშობლოს 7 ათასი ცენტნერი თევზი მისცა, რაც ორი წლის გეგმას აღემატება. ეკიპაჟის შემადგენლობამ მტკიცედ გადაწყვიტა პირველ მაისამდე მშრომელთა სუფრას გეგმის გადამეტებით მისცეს რამდენიმე ასეული ცენტნერი თევზი.

სათბობი გეგმის გადამეტებით

ახალციხე. (საკ. კორ.). საპირველმაისო შრომითის ვახტზე დგანან და შრომაში თვალსაჩინო წარმატებებს აღწევენ ახალციხის № 1 მატხტის სამთოელები.

საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა. მეორე საექსპლოატაციო უბნის კოლექტივი, რომელსაც სამთო საქმის ოსტატი ვ. ბაძაღელაძე ხელმძღვანელობს. ამ უბანმა 5 აპრილამდე სათვის შეასრულა ქვანახშირის ამოღების აპრილის პირველი ნახევრის გეგმა.

შახტის კოლექტივის მტკიცე გადაწყვეტილებაა აპრილის დავალება 25 რიცხვისათვის შეასრულოს.

დიადი მოწოდებანი

ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთა ენაზე შთამაგონებლად აჟღერდა დიდი ლენინის პარტიის ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებანი. ამან ახალი ენერგია, ახალი ძალა მისცა საბჭოთა ადამიანების მძლავრ გაჭანებას კომუნიზმის გამარჯვებისათვის შრომაში.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

გაუმარჯოს ხალხთა შორის მეგობრობასა და მეგობრობას!

პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდების ეს სიტყვები დღეს ნაღარასავით გაისმის ჩვენი პლანეტის ყოველ კუთხეში. იგი მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, სოციალიზმისათვის აღანთებს მილიონობით ადამიანებს კაპიტალის ბატონობის ქვეყნებში.

დიახ, ხალხთა მშვიდობა და მეგობრობა, შემოქმედება და კომუნიზმი! აი ის დიადი დევიზი, რომლითაც გამსჭვალულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებანი.

კომუნიზმი, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა იქმნება გამძაფრ მარჯვენით და ნათელი გონებით, მხოლოდ შრომით და მხოლოდ შრომით. პარტია კვლავაც ასწავლის საბჭოთა ადამიანებს, რომ თვითეულმა მთელი ძალღონითა და უნარით იშრომოს თავის კონკრეტულ უბანზე.

საბჭოთა კავშირის მშრომელებო, მთელი ძალღონე მოახმარეთ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას!

დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობა გამოიწვია პარტიის ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებმა საბჭოთა საქართველოს მშრომელებში. რუსთაველი მეფოლადეები თუ ჭიათურელი მაღაროელები, ჩვენი სახელოვანი მეჩაიეები თუ მევენახეები გულდასმით ეცნობიან ამ შესანიშნავ დოკუმენტს და აძლიერებენ დიდი დღესასწაულისადმი მიძღვნილი შეჯიბრების ტემპებს.

საპირველმაისო მოწოდებანი რაზმავენ მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის ყველა დარგის მუშაკებს შვიდწლიდის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის.

ახლა ყველგან გაზაფხულის სამუშაოთა ცხარე დღეებია. მინდვრებში თუ პლანტაციებში, ბაღებში თუ ვენახებში წყდება მომდინარე წლის მოსავლის ბედი. პარტია სოფლის მეურნეობის მუშაკს მოუწოდებს სანიმუშოდ დაამთავრონ საგაზაფხულო თესვა, თავდადებით იბრძოლონ მარცვლის, ტექნიკური კულტურების და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის.

კიდევ ორი ათეული დღე, და საბჭოთა ხალხი იზეიმებს პირველ მაისს. იგი მშრომელთა ამ დიად დღესასწაულს ხვდება ბრძოლით შვიდწლიდის ვადამდე შესრულებისათვის, სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა და პარტიის პროგრამის განხორციელებისათვის.

— **გაუმარჯოს ლენინის მიერ შექმნილ სახელოვან საბჭოთა კავშირს კომუნისტურ პარტიას!**

— **გაუმარჯოს კომუნიზმს, რომელიც ყველა ხალხის მშვიდობას, შრომას, თავისუფლებას, ძმობასა და მეგზურობას ამკვიდრებს დედამიწაზე!**

ფეჯიბრებაში დაწინაურდნენ

ყვარელი. (საეც. კორ.). ცნობილი მექანიზატორი ვლადიმერ ყავლაშვილი საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდში დგას. მან სოფელ ჭაბუკიანის ჭაჭავაძის სახელობის კოლმეურნეობაში კვადრატულ-ბუდობრივად დათესა 108 ჰექტარი სიმინდი.

ახლა ყვარლის საწარმოო სამმართველოს საკოლმეურნეო მინდვრებში მასობრივად არის გაჩაღებული სიმინდის თესვა. სულ გეგმით უნდა დათესოს 7.680 ჰექტარი სამარცვლე სიმინდი. უკვე დათესილია 1.000 ჰექტარზე მეტი. აქედან პროგრესული წესით — 300 ჰექტარი. თესვაში წინმიდის სოფელ ჭიკაანის კოლმეურნეობა, რომელმაც 120 ჰექტარი სიმინდი დათესა. სოფელ არეშფერანის ხეთაგუროვის სახელობის კოლმეურნეობაში დათესილია 71 ჰექტარი, ლელიანის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობაში — 40 ჰექტარი, სოფელ ორჯონიკიძის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში — 64 ჰექტარი. აქედან 44 ჰექტარი კვადრატულ-ბუდობრივად არის დათესილი.

სიმინდის თესვაში დაწინაურდნენ ახალსოფლის მარჯანიშვილის სახელობის, ლენინის სახელობის კოლმეურნეობები. ყვარლის კოლმეურნეობა „დურუჯი“, ბაისუბნის კოლმეურნეობა „წინსვლა“ და სხვა კოლმეურნეობები. სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმატებას აღწევს ჭიკაანელი მექანიზატორი ფ. კოდოლიშვილი. იგი დღეში თესავს 12-15 ჰექტარ სიმინდს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 10 ჰექტარისა. ყვარლელი მხვნელ-მთესველები პირობას იძლევიან სიმინდის თესვა 20 აპრილისათვის დაამთავრონ.

პარტიის მოწოდების პასუხად

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქალაქის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა პირველი კვარტლის დავალება დიდი გადამარბებებით შეასრულეს და გეგმის ზევით მისცეს სამშობლოს 2 მილიონ 326 ათასი მანეთის პროდუქცია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებების კასუხად ახალი ძალით ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება.

საბჭოთა კავშირის მშრომელებო! დაუცხრომლად გარდეთ შრომის ნაყოფიერება! იბრძოლეთ წარმოების შინაგანი რეზერვების რაც შეიძლება სრულად გამოყენებისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებიდან.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებამ საქართველოს მშრომელებში ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია. დედაქალაქის მრეწველობის მუშაკები, ეცნობიან რა ამ მოწოდებას, ახალ გადიდებულ ვალდებულებებს კისრულობენ. სურათზე: თბილისის სახეხი ჩარხების ქარხნის მექანიკური საამქროს ოსტატი დ. კაკაბაძე მუშებს აცნობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებას.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

თესავენ სვეტლიჩნისებურად

ცხინვალი. (საკ. კორ.). გაზაფხული ძალაში შევიდა მთისწინა ზონაშიც. განსაკუთრებით ჩქარობენ მეჭარხლეები. მათ მოკლე დროში უნდა დამთავრონ შაქრის ჭარხლის თესვა. ჭარხლის თესვა ლენინგორის საწარმოო სამმართველოში პირველებმა მაიაკოვსკის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორებმა დაიწყეს. ტირიფონის ველზე აგუგუნდნენ არსენ ლაფაჩისა და ვიქტორ ინაურის ტრაქტორები. ერთ დღეს მათ 16 ჰექტარი შაქრის ჭარხალი დათესეს.

დიდი გამოცოცხლებაა ერედვის საცდელ-საჩვენებელ საბჭოთა მეურნეობაში. აქ სვეტლიჩნის მეთოდით 200 ჰექტარზე დათესავენ შაქრის ჭარხალს. მეურნეობის სპეციალისტები გამოცდილების გაზიარების მიზნით იყვნენ სვეტლიჩნისთან, ბევრი რამ ისწავლეს მისგან და ახლა ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ შაქრის ჭარხლის მთელი ნათესი ფართობი მანქანებით დამუშაონ. საამისოდ მზად აქვთ ტექნიკაც და სათანადო თესლიც.

მეურნეობა უკვე შეუდგა თესვას. შაქრის ჭარხლის ახალი მეთოდით თესვას ხელმძღვანელობს გამოცდილი მექანიზატორი **თ. მიროშნიკოვი.**

მეგზურგზე — ბრძოლა ტრაქტორებისა

ბაკურიანი. (საკ. კორ.). ბაკურიანის ტყეთმოსარგებლეობის ტრესტის ტყეთმოსარგებლეობა ბაკურიანი ბორჯომ-ბაკურიანის ავტომაგისტრალზე ბაკურიანის ხეობაში ორ ადგილზე ტყეს ჭრიდა. ეს ადგილები ბაკურიანიდან 3 კილომეტრზე, ბორჯომიდან 15 კილომეტრზე მანძილზეა. ეს ადგილები ბაკურიანის ტურისტული ბაზის ტერიტორიაზე ან ბაკურიანის ბალნეოლოგიური კურორტის ტერიტორიაზე ან ბაკურიანის ეროვნული პარკ



„ჩვენი მთავარი პოლიტიკა ამჟამად უნდა იყოს სახელმწიფოს ეკონომიური მშენებლობა... და ამაზე უნდა აიგოს მთელი აგიტაცია და მთელი პროპაგანდა".

ვ. ი. ლენინი.

ლენინის იდეების შუქი

ახლა, როცა ჩვენს ყოფაში ყოველდღიურად მკვიდრდება კომუნისტური ურთიერთობა, ახალი ამოცანები ისახება იდეურ აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისათვის, კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება დიდი ლენინის თეორიული მემკვიდრეობის შესწავლას. **„ლენინი პროპაგანდისა და აგიტაციის შესახებ"**, ასეთი სახელწოდება აქვს იმ კრებულს, რომელიც ახლახან ქართულ ენაზე გამოუშვა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობამ.

კრებულში წარმოდგენილია ვ. ი. ლენინის ცალკეული ნაწერიები, ნაწყვეტები ნაშრომებიდან, სიტყვები, რომლებშიც გაშუქებულია პარტიული პროპაგანდის დაყენების, მისი შინაარსის, ფორმებისა და მეთოდების საკითხები. იგი იხსნება ნ. კ. კრუპსკაიას სტატიით „ლენინი როგორც პროპაგანდისტი და აგიტატორი". სტატიაში ლენინი დახასიათებულია როგორც პროპაგანდისა და აგიტაციის გამოჩენილი ოსტატი, ნაჩვენებია, თუ რა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ვ. ი. ლენინი პროპაგანდასა და აგიტაციას იმ დიდი ამოცანების გადაწყვეტაში, რომლებიც პარტიის წინაშე იდგა ხელისუფლებისათვის, სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში.

ვ. ი. ლენინი ოქტომბრამდელი პროპაგანდის დამახასიათებელ თვისებად თვლიდა იმას, რომ იგი უმთავრესად შეიხებოდა კლასებისა და კლასობრივი ბრძოლის თეორიას, პროლეტარიატის დამოკიდებულებას საზოგადოების სხვა კლასებთან, იგი მოწოდებული იყო მუშებს შორის გავრცელებინა მარქსიზმის თეორიის ძირითადი იდეები.

აგიტაციას კი აქვს მაორგანიზებელი მნიშვნელობა, მასებს ეხმარება გაერთიანებაში, რაზმავს მათ, ზრდის სოლიდარული მოღვაწეობისა და ბრძოლისათვის და აგიტაცია წარმოუს როგორც ცოცხალი სიტყვით, ისე საქმით, მუშაობით, მაგალითით. ამასთან ვლადიმერ ილიას-ძე ყოველთვის აღნიშნავდა პროპაგანდისა და აგიტაციის განუყრელ კავშირს, მიზნების ერთიანობას და ხედავდა მათში რუსეთის სოციალ-დემოკრატების პრაქტიკული მოღვაწეობის უმნიშვნელოვანეს გამოვლინებას მარქსისტული პარტიის შექმნისათვის ბრძოლის პერიოდში, ექსპლოატატორთა ხელისუფლების დამხობისათვის და მშრომელთა ბატონობის დამყარებისათვის ბრძოლაში.

კრებულში მთლიანად შესულია ვ. ი. ლენინის წიგნი „რა ვაკეთოთ?". მასში მოცემულია პარტიის ცხოვრებაში პროპაგანდისა და აგიტაციის მნიშვნელობის, მოწინავე თეორიისა და პოლიტიკური ბატონობისათვის, სოციალიზმისათვის პროლეტარიატის ბრძოლის ლენინისეული შეფასება.

პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი, იბრძვიან რა სოციალისტური იდეოლოგიის სიწმინდისათვის, ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ, ამით აკითარებენ ლენინიზმის დიად მოძღვრებას, იცავენ ლენინის იდეური საგანძურის სიწმინდეს.

„ჩვენ, — წერდა ვ. ი. ლენინი, — **დაუცხრომლად უნდა ვებრძოლოთ ყოველგვარ ბურჟუაზიულ იდეოლოგიას, რა ახალმოდის და ბრწყინვალე სამოსელშიც უნდა ეხვიოდეს იგი".**

ვ. ი. ლენინის დებულება იმის შესახებ, რომ შეუძლებელია ორი იდეოლოგიის შერიგება, დღეს საფუძვლად უდევს ჩვენი პარტიის მთელ მოღვაწეობას.

ჩვენს ქვეყანაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, ცხადია, უნდა შეცვლილიყო აგიტაციისა და პროპაგანდის მიზნები და შინაარსი. ლენინის მთელ რიგ დოკუმენტებში, სტატიებში, სიტყვებში, რომლებიც გამოქვეყნებულია კრებულის მეორე ნაწილში, ვლადიმერ ილიას-ძე გვასწავლის, რომ ახლა მასების პოლიტიკური მუშაობა მიმართული უნდა იყოს ოქტომბრის მონაპოვრის შენარჩუნებისაკენ, სოციალიზმის მშენებლობის უშუალო ამოცანების განხორციელებისაკენ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მომენტიდან პარტია მთავარ ამოცანად ისახავდა სახელმწიფოს ეკონომიურ მშენებლობას. ლენინი ნაშრომებში „საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები", „მემარცხენეობის „საყმაწვილო სენი" კომუნიზმში", „ჩვენი გზიფთების ხასიათის შესახებ" და სხვ. აღნიშნავდა, რომ ახლა მთელი აგიტაცია და პროპაგანდა უნდა გადაეყვანოთ სამეურნეო მშენებლობის რელსებზე. ლენინი გვასწავლიდა ნაკლებ დროს ვუთმობდეთ პოლიტიკას და მეტს — მეურნეობას. „**მთელი პროპაგანდა, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი სახალხო განათლების პოლიტგანების სრულიად რუსეთის თათბირზე წარმოთქმულ სიტყვაში, — სამეურნეო მშენებლობის პოლიტიკურ გამოცდილებაზე უნდა აიგოს. ეს ჩვენი უმთავრესი ამოცანაა... ჩვენი მთავარი პოლიტიკა ამჟამად უნდა იყოს სახელმწიფოს ეკონომიური მშენებლობა, რათა რაც შეიძლება მეტი პური მოვაგროვოთ, რაც შეიძლება მეტი ნახშირი მოვიპოვოთ... და ამაზე უნდა აშენდეს მთელი აგიტაცია და მთელი პროპაგანდა"** (გვ. 574).

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად პარტიული ორგანოების საწარმოო პრინციპის მიხედვით აგება მთლიანად უპასუხებს ლენინის იდეებს, უფრადღებს ცენტრში აყენებს მთავარს — წარმოების განვითარებას, რაც თავისთავად გულისხმობს მთელი იდეოლოგიური მუშაობის, ადამიანებთან მუშაობის გაუმჯობესებას. „პარტიული ორგანოების აგება საწარმოო პრინციპის მიხედვით, — აღნიშნულია პლენუმის დადგენილებაში, — შესაძლებლობას იძლევა უზრუნველყოთ მრეწველობის, მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის უფრო კონკრეტული და გეგმაზომიერი ხელმძღვანელობა, მთავარი ყურადღება მივაქციოთ საწარმოო საკითხებს. ასეთი გარდაქმნა გააქტიურებს პარტიის საქმიანობის ყველა მხარეს, ორგანიზაციულ და იდეოლოგიურ მუშაობას უფრო მჭიდროდ დაუკავშირებს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისა და ახალი ადამიანის აღზრდის ამოცანებს".

ვ. ი. ლენინი პროპაგანდისა და აგიტაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად თვლიდა მოწინავე გამოცდილების მოხახვასა და გავრცელებას.

„რაც შეიძლება ნაკლები პოლიტიკური ლაქლაქი, მეტი ყურადღება კომუნისტური მშენებლობის უაღრესად მარტივი, მაგრამ ცოცხალი, ცხოვრებიდან აღებული, ცხოვრების მიერ შემოწმებული ფაქტებისაღმი — ეს ლოზუნგი განუწყვეტლივ უნდა ვიმეოროთ ჩვენ ყველამ, ჩვენმა მწერლებმა, აგიტატორებმა, პროპაგანდისტებმა, ორგანიზატორებმა და სხვ". — ამე წერდა დიდი ბელადი დიდი თანხმობის — პირველი კომუნისტური შაბათობის გამო, რომელიც 1919 წლის 10 მაისს გაიმართა.

ლენინის იმ მოთხოვნას, რომ წარმოების საუკეთესო მუშაკთა გამოცდილება გადავაქციოთ მღელოთთა კუთვნილებად, პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი სახავენ პროპაგანდისტების, აგიტატორებს, იდეოლოგიური ფრონტის ყველა მუშაკის პირველხარისხოვან ამოცანად.

ვ. ი. ლენინს პროპაგანდისა და აგიტაციის, მთელი იდეოლოგიური მუშაობის წარმატება წარმოუდგენლად მიიჩნდა, თუ ეს მუშაობა სიმართლეზე არ იქნებოდა აგებული. იგი დაუშვებლად თვლიდა სინამდვილის ყოველგვარ შელამაზებას, ნაკლოვანებათა მიჩქმალვას. ლენინი გვიჩვენებდა, არასოდეს არ დაგვმცირებინა საშიშროება, არ დაგვეხუჭა თვალი მის წინაშე, არამედ წვასულიყავით ხალხის ფართო მასებში და განგვემარტა ჩვენი სიძნელეები, მშრომელებისათვის გვეთქვა სიმართლე. „...თუ ჩვენი მოწინააღმდეგეები ამბობდნენ და აღიარებდნენ, — წერს ვ. ი. ლენინი, — **რომ ჩვენ სასწაულები მოვახდინეთ აგიტაციისა და პროპაგანდის განვითარებაში, ეს გარეგნულად კი არ უნდა გავიგოთ, რომ ჩვენ ბევრი აგიტატორები გვყავდა და ბევრი ქაღალდი დავხარჯეთ, არამედ ეს უნდა გავიგოთ შინაგანი აზრით, რომ ის სიმართლე, რომელიც ამ აგიტაციაში იყო, ყველას თავში იჭრებოდა და ამ სიმართლეს არ შეიძლება გადავუხვიოთ".**

ჩვენი პარტია მთელს თავის მუშაობაში მტკიცედ ახორციელებს ლენინის ამ პრინციპს პოლიტიკურ მუშაობაში. პარტია ყოველთვის პირდაპირ ელაპარაკება ხალხს ჩვენს წარმატებებზე, აგრეთვე იმ ნაკლოვანებებსა და სიძნელეებზე, რომლებიც არსებობენ და რომელთა დასაძლევად აქტიურად იბრძვიან ჩვენი ადამიანები.

პროპაგანდისა და აგიტაციის კონკრეტულობა, წარმოებასთან, ადამიანთა ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირი მსგავში პარტიის პოლიტიკური მუშაობის მნიშვნელოვანი ლენინური პრინციპია. მაგრამ ლენინი ყოველთვის თვლიდა, რომ იდეოლოგიურ მუშაობაში ყველაზე მთავარია იდეური შინაარსი. ჯერ კიდევ პარტიის II ყრილობაზე იგი აღნიშნავდა, რომ მხოლოდ სწორი თეორიული გადაწყვეტა უზრუნველყოფს წარმატებას პროპაგანდისა და აგიტაციაში, რომ თეორია ყველგან უნდა შეიჭრას, ყველგან შეაღწიოს, რომ არ უნდა დავეშვათ გაუბრალოებამდე, პრიმიტივიზმამდე. კი არ გავაუბრალოთ, არამედ განვმარტოთ, მივაჩვიოთ ადამიანები ღრმა აზროვნებას. ლენინი აღნიშნავდა: თვითეული აგიტატორი და პროპაგანდისტი მხოლოდ მაშინ შეასრულებს თავის მოვალეობას, როდესაც მტკიცე პარტიული სულისკვეთებით მუშაობს.

იდეურ შინაარსთან ერთად ვ. ი. ლენინი დიდ ყურადღებას აქცევდა პროპაგანდისა და აგიტაციის მისაწვდომობას, სიცხადეს, სიმარტივეს.

ლენინი წერდა: **„არ არის სწორი, რომ მასები პოლიტიკური ბრძოლის იდეებს ვერ გიგებენო. ამ იდეას გიგებს ყველაზე უბრალო მუშა, რა თქმა უნდა, იმ პირობით, თუ აგიტატორი ან პროპაგანდისტი შეძლებს ისე მიუდგეს მას, რომ გააგებინოს ეს იდეა, შეძლებს გადასცეს ის გასაგები ენით და ყოველდღიური ცხოვრებიდან მისთვის ცნობილ ფაქტებზე დაყრდნობით".** ლენინი ყოველთვის აღნიშნავდა, რომ ყოველი აგიტატორისა და პროპაგანდისტის ხელოვნება ის არის, რომ საუკეთესოდ იმოქმედოს ამა თუ იმ აუდიტორიაზე, რომლისთვისაც ცნობილი ჭეშმარიტება უნდა გახდეს რაც შეიძლება ადვილად ასათვისებელი, რაც შეიძლება უფრო თვალსაჩინო და უფრო მტკიცედ დასამახსოვრებელი.

ვ. ი. ლენინს აგიტატორისა და პროპაგანდისტის წარმატების ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან პირობად მიაჩნდა ენა. იგი ბროშურაში „სოციალ-დემოკრატია და საარჩევნო შეთანხმებანი" წერდა: „...**უნდა შეეძლოთ მარტივად და ნათლად, მასისათვის გასაგებად ლაპარაკი; მათ გადაჭრით უნდა უკუაგდონ თავხატები ტერმინების, უცხო სიტყვების, გაზეპირებული მზამზარეული, მაგრამ მასისათვის ჯერ კიდევ გაუგებარი, მისთვის უცნობი ლოზუნგების, განსაზღვრათა, დასკვნათა მძიმე არტილერია. უნდა შეგვეძლოს ულაფაიებოდ, უბრალოდ, ფაქტებითა და ციფრებით განვმარტოთ სოციალიზმის საკითხები".**

აგიტატორისა და პროპაგანდისტის საქმიანობას ლენინი განიხილავდა როგორც ორგანიზატორისა და აღმზრდელის მუშაობას. იგი იბრძოდა იმის წინააღმდეგ, რომ აგიტაცია ამოწურულიყო მარტო მოწოდებებით, მოითხოვდა მის დაკავშირებას ახსნა-განმარტებითს მუშაობასთან.

თვითეული აგიტატორი, — წერდა ვ. ი. ლენინი— **უნდა იყოს სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელი, ყველა გლეხისა და მუშის ხელმძღვანელი ეკონომიური მშენებლობის საქმეში".**

კრებულის „ლენინი პროპაგანდისა და აგიტაციის შესახებ" ქართულად გამოცემა მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი რესპუბლიკის იდეურ ცხოვრებაში. იგი დიდ დახმარებას გაუწევს ჩვენს პარტიულ მუშაკებს, პროპაგანდისტებს. აგიტატორებს, ლექტორებს იმ ამოცანების გადაჭრაში, რომლებიც პარტიის XXII ყრილობამ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა დასახეს.

დ. კაკაბაძე.

ილიჩის ოთახი

ლენინგრადი, 7 აპრილი. (საკდესის კორ.). დღეს სმოლნში რამდენიმე ხნის შესვენების შემდეგ კვლავ გაიხსნა ვ. ი. ლენინის ოთახი. აქ მოვიდნენ დამთვალიერებელნი — მუშები, სტუდენტები, აგრეთვე სტუმრები — ლიტვის პროპაგანდისტები.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ვ. ი. ლენინი სმოლნის უბრალო, პატარა ოთახში დაბინავდა, რომელშიც ცხოვრობდა ნ. კ. კრუპსკაიასთან ერთად, სანამ საბჭოთა მთავრობა მოსკოვში გადავიდოდა 1918 წლის მარტში. ლენინგრადელები სათუთად უფრთხილდებიან ნივთებს, რომლებითაც ილიჩი სარგებლობდა. ეს პატარა ოთახი ცნობილია არა მარტო სტუმრებისა და ყანაში, არამედ მთელ მსოფლიოში. აქ ყოფილან დედამიწის ყველა კონტინენტის წარმოგზავნილები, ასზე მეტი ქვეყნის წარმომადგენლები.

მუზეუმში წარმოდგენილ ახალ დოკუმენტებს შორის არის რუკა შეიარაღებული აჯანყებისა პეტროგრადში, რომელზეც აღნიშნულია სახლები, სადაც ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, წითელი გვარდიის რაიონული შტაბების სხდომები იმართებოდა. ვიტრინებში გამოფენილია დეპეშა, რომელიც იუწყება ვ. ი. ლენინის არჩევას დამფუძნებელ კრებაში, ფოტოპირი მ. ვ. ფოფანოვას სმოლნში შესვლის საშვებისა, რომელსაც ხელს აწერს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ი. ულიანოვი-ლენინი, და სხვა მასალები. ექსპოზიციაში შედის ტექსტი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამისა, რომელიც სკკპ XXII ყრილობამ მიიღო.

მუზეუმს შეემატა აგრეთვე მხატვართა სურათები, რომლებიც ეძღვნება რევოლუციის დიდი ბელადის — მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელისა და მშენებლის მოღვაწეობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვიან მდინარეები

• დავიცვათ ჩვენი წყალსატევები •

ბოლო ხანებში ჩვენ ბევრ ადგილას ვიგებთ ფაქტებს, როდესაც ადამიანები, ორგანიზაციები, ინსტიტუტები, ტრესტები, ქარხნები, ფაბრიკა-კომბინატები, ელექტროსადგურები, ტბორები, ბაზები, ბაღები, ბოსტნეულის ბაზები, ბაზრები, ბინადრობენ, ბინადარ, ბინადარი, ბინადარობ, ბინადარ, ბინადარ, ბინადარ

ტოლიატი: ჩვენ ახალი პოლიტიკა გვინდა

რომი, 8 აპრილი. (საკდესი). „ჩვენ გადავრთავთ ვეწინააღმდეგებით იმათ, ვინც ამტკიცებს, რომ პროვიდობა შიშის წონასწორობის საშუალებით უნდა შევინარჩუნოთ", — განაცხადა იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა პალმირო ტოლიატიმ წინასაარჩევნო მიტინგზე კატანზარაში.

„ეს არის გზა კატასტროფისა, რომელსაც შეუძლია მთელი კაცობრიობა მოსპოს", — თქვა ტოლიატიმ. ჩვენ გვინდა ახალი პოლიტიკა, ბლოკებისადმი მიუმხრობლობის პოლიტიკა, ამისათვის კი საჭიროა უარი ვთქვათ ატომურ შეიარაღებაზე როგორც ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე, ისე ჩვენს ზღვებშიც.

თავის სიტყვაში ტოლიატიმ ილაპარაკა, თუ რა სასოწარკვეთილებაშია გლეხი, რომელიც იძულებულია მიატოვოს მიწა და რა მძიმე პირობებში ცხოვრობენ ისინი, ვინც საზღვარგარეთ წავიდა, სადაც იტალიელ ემიგრანტებს ისე ეპყრობიან, როგორც მონებს.

იტალიის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა მოითხოვა, რომ პარლამენტის არჩევნების დამთავრებისთანავე მოწვეულ იქნეს საერთო-როვნული კონფერენცია სოფლის მეურნეობაში არსებული მდგომარეობის განსახილველად. ამ კონფერენციაზე, თქვა მან, კომუნისტები, კერძოდ, მოითხოვენ საყოველთაო აგრარულ რეფორმას, რომელმაც გლეხებს უნდა მისცეს მიწა და მისი დასამუშავებელი საშუალებანი, მოითხოვენ სამოქალაქო რეფორმების განხორციელებას სამხრეთ იტალიის სოფლებსა და ქალაქებში, სამხრეთ იტალიის ინდუსტრიალიზაციას, დემოკრატიის გაფართოებას, უწინარეს ყოვლისა იმ გზით, რომ განხორციელდეს კონსტიტუციის დებულებანი საოლქო თვითმმართველობის ორგანოების შექმნის შესახებ.

ბელგრადი იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ყველაზე დიდი ქალაქია. უკანასკნელ წლებში აქ აშენდა ახალი სამრეწველო საწარმოები, სასწავლებლები, თეატრები, საცხოვრებელი სახლები. დედაქალაქი თავის ძველ ფარგლებში ვეღარ ეტეოდა. ახლა მდინარე საკის მარცხენა ნაპირზე შენდება „ნოვი ბელგრადი", სადაც 1965 წლისათვის 250 ათასი მცხოვრები იქნება.

სურათზე: „ნოვი ბელგრადი".

ფოტო ტანიუგ-საკდესისა.

„დემოკრატიის ნიმუში"

ნიუ-იორკი, 8 აპრილი. საკდესის კორესპონდენტი **ნ. ტურკატენკო** იუწყება:

ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთ ნაწილში რასისტები კვლავ მიმართავენ რეპრესიებს ზანგი მოსახლეობისა და მისი ლიდერების წინააღმდეგ. ამის საბაბია ზანგების ცდა რეგისტრაციაში გატარდნენ ამომრჩეველად და მტკიცე პროტესტი განაცხადონ რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ.

მარტო ერთ დღეში 7 აპრილს ქალაქ ბირმინჰემში (ალაბამის შტატი) საპყრობილეში ჩაყარეს 23 ზანგი, ხოლო სულ წარსულ კვირაში — 90-ზე მეტი კაცი.

დაპატიმრების დროს მათ წაუყენეს სტანდარტული ბრალდება, რომ დაარღვიეს საზოგადოებრივი წესრიგი და არ ემორჩილებიან ხელისუფლებს.

„ადგრამ პოლიციელთა ღონისძიებებს არ ძალუძთ გატეხონ რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ მებრძოლთა ნება. სამოქალაქო თავისუფლებათა დაცვისათვის მოქმედების ჯგუფის ხელმძღვანელმა მერილენდის შტატში (ამ შტატის ქალაქ კენბრიჯში მარტო ერთ დღეში — 6 მარტს დაპატიმრეს 44 კაცი) ქალრეს ლოგანმა განაცხადა, რომ დაპატიმრების მიუხედავად, კომიტეტი არ აპირებს შეწყვიტოს დემონსტრაციათა მოწყობა რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ.

ამერიკის ხელისუფლები, რომლებსაც ესმით, რომ პოლიტიკური ტერორი ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთ ნაწილში ირაფრით არ შეესაბამება ამერიკის პროპაგანდის იმ ცდებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები წარმოადგინონ „თანაბარ შესაძლებლობათა" და „სანიმუშო დემოკრატიის" ქვეყნად, ნებას არ აძლევენ საბჭოთა კორესპონდენტებს იმოგზაურონ სამხრეთ შტატებში.

უკანასკნელ ხანს ასეთი მოგზაურობის ნებართვაზე „დროებითი მიზეზების" გამო უარი ეთქვათ ნიუ-იორკში აკრედიტებულ საკდესის, გაზეთების „პრავდის", „ტრუდის", „სელსკაია ჟიზნის", მოსკოვის რადიოს კორესპონდენტებს.

არჩევნები ჩილში

ნიუ-იორკი, 8 აპრილი. (საკდესი). წინასწარი არაოფიციალური ცნობების მიხედვით, „სახალხო მოქმედების რეფოლუციურმა ფრონტმა" — ჩილის პროგრესული პარტიების ბლოკმა, რომელშიც შედიან კომუნისტური და სოციალისტური პარტიები, მეორე ადგილი დაიკავა მუნიციპალურ არჩევნებში, რაც გუშინ მოეწყო. იგი პირველობს მხოლოდ იმ ბურჟუაზიული პარტიების კოალიციას უმობს, რომლებიც სათავეში უდგანან ხელისუფლებას.

მესამე ადგილი დაიკავა ქრისტიანულ-დემოკრატიულმა პარტიამ, იუწყება ასოშიეიტედ პრესის სააგენტო.

რასკი კმაყოფილია

პარიზი, 9 აპრილი. (საკდესი). საფრანგეთის პრეზიდენტი დე გოლი ელისეს სასახლეში შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს რასკს. შეხვედრის დამთავრების შემდეგ რასკმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ „ერთობ კმაყოფილია" შეხვედრის შედეგებით.

როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, საუბრის დროს განიხილეს ნატოს ატომური დამკვრელი ძალის, დასავლეთ ბერლინის საკითხები, აგრეთვე კუბისა და ლაოსის მდგომარეობა.

სამხედრო პროვოკაციები

პეკინი, 8 აპრილი. (საკდესი). დღეს ამერიკის სამხედრო თვითმფრინავმა დაარღვია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საჰაერო სივრცე სიშაატუნდაოს კუნძულების (გუანდუნის პროვინცია) რაიონში, როგორც სინხუას საააგენტო იუწყება, ამერიკის სამხედრო ხომალდი დღეს შეიჭრა აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიულ წყლებში, ბაიციუანის (ფუძიანის პროვინცია) აღმოსავლეთით და დაახლოებით ერთ საათს იყო იქ.

ამ სამხედრო პროვოკაციებთან დაკავშირებით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელს დავალებული აქვს სერიოზული გაფრთხილება განაცხადოს.

შეწყდეს სამარცხვინო ომი!

ნიუ-იორკი, 8 აპრილი. (საკდესი). ცნობილმა ინგლისელმა ფილოსოფოსმა ბერტრან რასელმა გულისწყრომით დაგმო დანაშაულებრივი ომი, რომელსაც შეერთებული შტატები და მათი მარიონეტი ნგო დინ დიემი აწარმოებენ სამხრეთ ვიეტნამის ხალხის წინააღმდეგ. გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში" გამოქვეყნებულ წერილში რასელი წერს: „შეერთებული შტატების მთავრობა გამანადგურებელ ომს აწარმოებს ვიეტნამში. ამ ომის ერთადერთი მიზანია შეინარჩუნოს სასტიკი ფეოდალური რეჟიმი სამხრეთში და მოსპოს ყველა, ვინც დიქტატორის წინააღმდეგ იბრძვის. შედგომი მიზანია შეიჭრას ჩრდილოეთში, რომელიც კომუნისტების ხელშია".

ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედება სამხრეთ ვიეტნამში, განაგრძობს რასელი, აიხსნება მათი მისწრაფებით „დაიცვან ეკონომიური ინტერესები" და არ დაუშვან „სოციალური რეფორმები დედამიწის ამ ნაწილში".

რასელი მტკიცე პროტესტს აცხადებს არაადამიანური ომის წინააღმდეგ.

ჯელეგრაფი გვაგზავნიბინებს

□ **ბერძენი ხალხის გმირი მანოლის გლეზოსი ლონდონში ჩავიდა.** იგი მონაწილეობას მიიღებს ინგლისის მშვიდობის მომხრეთა ოლდერმასტონის მორიგ ლაშქრობაში, რომელიც გაიმართება აპრილის შუა რიცხვებში.

□ **ბუქარესტში** ხელი მოაწერეს შეთანხმებას რუმინეთის სახალხო რესპუბლიკასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის 1963 წლის საქონელბრუნვისა და გადასახდელების შესახებ. რუმინეთი ჩინეთს მიაწვდის ტრაქტორებს, საბურღ დანადგარებს, ნავთობისა და ქიმიური მრეწველობის პროდუქციასა და სხვა საქონელს. ჩინეთი რუმინეთს მიაწვდის ფოლადის ნაგლინს, თუჯს, მანქანათმშენებლობის პროდუქციას, საფეიქრო საქონელს, ფართო მოხმარების საგნებს.

□ **ხელოვნების** მეგობრების ასოციაციისა და „ზეთ „ნიმიუ-რის" მიწვევით ტოკიოში ჩავიდა მოსკოვის სახელმწიფო გუნდი. ორი თვის გასტროლების დროს გუნდი კონცერტებს გამართავს იაპონიის 30-ზე მეტ ქალაქში.

□ **თეირანში** გაიმართა საბჭოთა მევიოლინის ვალერი კლიმოვის პირველი კონცერტი. იგი ჩავიდა ირანის დედაქალაქის ფილარმონიის მიწვევით. კონცერტს დიდი წარმატება ჰქონდა.

ინდოეთი ამსხვრევს ბორკილებს

ეუთაესუნელი სუვერენული სახელმწიფოებიან ერთად ეკონომიური დამოუკიდებლობის მოპოვება ძნელი და ხანგრძლივი პროცესია, ვიდრე პოლიტიკური თავისუფლების მოპოვება. კოლონიური სახელმწიფოები ჩაბალუქებიან სუსტადგანვითარებული ქვეყნების მთელ ეკონომიკას და მრავალხაირ მაქინაციებს მიმართავენ, რათა კვლავ სწოვონ სისხლი თავიანთ ყოფილ კოლონიებს.

ეკონომიური ძარცვის აღკვეთა, თავისი დამოუკიდებელი ეროვნული ეკონომიკის შექმნა ახლადფენილ მონებს ბრძოლის კატეგორიული მოთხოვნაა. სუსტად განვითარებულმა ქვეყნებმა პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოიპოვეს, მაგრამ სრული დამოუკიდებლობა არ მიუღიათ, მისი მიღება კი იმას ნიშნავს, რომ დაუბრუნდეს ხალხს მისი სიმდიდრე, ჩამოერთვას იგი იმპერიალისტებსა და შინაური ექსპლოატატორებს, მოხმარდეს ხალხის საჭიროებას. ამ ამოცანების გადაჭრა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძირითადი შინაარსია თანამედროვე ეტაპზე.

უცხოეთის მონოპოლიების საქმიანობის შეზღუდვისაკენ მიმართულ ღონისძიებათა შორის სუსტად განვითარებულ ქვეყნებში დიდად გავრცელდა უცხოეთის საწარმოთა ნაციონალიზაცია. მაგალითად, ირანში მოსადიკის მთავრობამ თავეს დროზე მოახდინა ირანის ნავთობის ნაციონალიზაცია, მაგრამ იმპერიალისტებმა ჩაშალეს ეს ღონისძიება. წარმატებითი იყო სუეცის არხის ნაციონალიზაცია, რაც ეგვიპტის მთავრობამ განახორციელა. ინდოეთში გატარდა სადაზღვევო საქმის ნაციონალიზაცია, ინდონეზიაში ნაციონალიზებულ იქნა ჰოლანდიელთა ბანკები, სარკინიგზო და სატელეფონო კომპანიები და სხვ. სუკარნოს მთავრობამ წესად შემოიღო, რომ ქვეყნის ეკონომიკისთვის დიდმნიშვნელოვან საამეცო საწარმოებში აქციების სულ მცირე 51 პროცენტი ეროვნულ კაპიტალს ეკუთვნოდეს. უცხოელებს აკრძალული აქვთ უძრავი ქონების გაყიდვა მთავრობის ნებადაურთველად.

კუბის რესპუბლიკამ მოახდინა უცხოელთა ჰლანტაციების, მრეწველობის, საბანკო სისტემის, ტრანსპორტის, საგარეო ვაჭრობის, საბითუმო საშინაო ვაჭრობის ნაციონალიზაცია, გაატარა მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიური რეფორმები სოფლის მეურნეობაში და განახორციელა მთელი რიგი სერიოზული კულტურული ღონისძიებები.

განის რესპუბლიკამ მოახდინა ინგლისის ოქროს მომპოვებელი ხუთი კომპანიისა და ჰოლანდიის ალმასის სინდიკატის საწარმოთა ნაციონალიზაცია და მათ საფუძველზე შექმნა სახელმწიფო სამთო-მომპოვებელი კორპორაცია. განის ალმასის მრეწველობის მთელი პროდუქციის ყიდვა და გასაღება გადაცემული აქვს სპეციალურად შექმნილ სახელმწიფო სამმართველოს. ალმასის მრეწველობა აქ წელიწადში 9 მილიონ გირვანქა სტერლინგ მოგებას იძლევა. ქვეყნის შიგნით და გარეთ სავაჭრო ოპერაციების განხორციელება ჩაბარებული აქვს სახელმწიფო სავაჭრო კორპორაციას.

ინდონეზიის რესპუბლიკამ მოახდინა ალმასისა და ოქროს მომპოვებელი მრეწველობის ნაციონალიზაცია, განახორციელა გადაწყვეტილება ფრანგის ზონიდან გამოსვლის შესახებ, შექმნა ეროვნული ბანკი, ბრუნვაში შემოიღო ეროვნული ვალუტა — გვინეის ფრანკი.

მალის რესპუბლიკა გამოვიდა დასავლეთ აფრიკის სავალუტო კავშირიდან, შემოიღო საკუთარი ეროვნული ვალუტა, მიაღწია იმას, რომ მის ტერიტორიაზე ლიკვიდირებულ იქნა საფრანგეთის ბაზები.

მთელ რიგ ახალგაზრდა სუვერენულ სახელმწიფოებში უცხოელის კომპანიებს უფრო მაღალი გადასახადი ხდებათ, ვიდრე ეროვნულ კომპანიებს, მათ უფლება აძა აქვთ გაიტანონ მოგების თანხის ნახევარზე მეტი, მათთვის დაწესებულია საგარეო ვაჭრობის ოპერაციებისათვის საჭირო ვალუტის მიღების შეზღუდვა, ისინი ვალდებულნი ხდებიან ადგილობრივი ფეოდალური ინტერესებისათვის ანგარიშგაწეული ფეოდალური ინვესტიციები ჩადონ ეროვნულ ეკონომიკაში.

**ეგვიპტეში ეროვნული ბურჟუაზიის ხელისუფლებამ ბანკების, ინდუსტრიის, ვაჭრობის, ტრანსპორტის, საგარეო ვაჭრობის ნაციონალიზაცია, ეროვნული ვალუტა — ეგვიპტური ფუნტი, ეროვნული ბანკი, ეროვნული ინვესტიციები, ეროვნული ეკონომიკა

მუსიკა დაეუფლა გულებს

ტაუნო ჰანიკაინენისა და ელისო ვირსალაძის კონცერტი

თბილისს საგასტროლოდ ესტუმრა ცნობილი ფინელი მუსიკოსი ჰელსინკის ეროვნული სიმფონიური ორკესტრის მთავარი დირიჟორი ტაუნო ჰანიკაინენი.

მისი გამოსვლა კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში 7 აპრილს დაემთხვა ღირსშესანიშნავ თარიღს — საბჭოთა კავშირ-ფინეთის ხელშეკრულების დადების მე-15 წლისთავს. დილით გაზეთებში წავიკითხეთ ჩვენი მთავრობის ხელმძღვანელთა მისალოცი დეპეშები ფინელი ხალხისადმი, ხოლო საღამოთი მოვისმინეთ ჩვენი ჩრდილოეთელი მეზობლების მუსიკა.

საქართველოს სახელმწიფო სიმფონიურმა ორკესტრმა ტაუნო ჰანიკაინენის სელმძღვანელობით თბილისში პირველად შეასრულა ფინეთის კლასიკური მუსიკის ფუძემდებლის კომპოზიტორ იან სიბელიუსის ორი მონუმენტური ნაწარმოები — პირველი სიმფონია და სიმფონიური პოემა „ფინლანდია“.

იან სიბელიუსი, რომელიც ახლახან გარდაიცვალა 93 წლის ასაკში, გამოჩენილი რუსი კომპოზიტორის პ. ჩაიკოვსკის თანამედროვე იყო და ერთგვარად მის გავლენასაც განიცდიდა, განსაკუთრებით თავის ადრეულ ნაწარმოებებში.

მეტად რთული და შესრულებისათვის ძნელია სიმფონიის მესამე ნაწილი „სკერცო“. აქ პოლიფონიური ხლართები და იმიტაციები ორკესტრანტებისაგან დიდ სიზუსტესა და ოსტატობას მოითხოვენ. ნამდვილად ქედის ღირსნი არიან ჩვენი ორკესტრის მუსიკოსები, რომ ასე უნაკლოდ შეასრულეს ეს ნაწილი, კანსაკუთრებით პირველმა ვიოლინოებმა (კონცერტმეისტერი ი. ცხომელიძე).

ენერგიულად, თავისი მშობლიური მუსიკის საუკეთესო ცოდნით მიჰყავდა ორკესტრი მხცოვან დირიჟორს.

კარგი შთაბეჭდილება დატოვა აგრეთვე სიმფონიურმა პოემამ „ფინლანდია“, რომელშიც მკვეთრად და სახეობრივად არის გადმოცემული ჩრდილოეთის ქვეყნის მკაცრი ბუნება, მისი ხალხის ხასიათი და თავისებურება. ნაწარმოები უმთავრესად საცეკვაო და მარშისებურ რიტმზეა აგებული, იგი ერთობ ცხოველმყოფელ და ხალისიან იერს ატარებს.

ამავე კონცერტში მონაწილეობა მიიღო პ. ჩაიკოვსკის სახელობის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატმა პიანისტმა ელისო ვირსალაძემ.

ამჯერად ახალგაზრდა შემოქმედი მსმენელთა წინაშე წარსდგა ახალი ნამუშევრით — შოპენის საფორტეპიანო კონცერტით. ცნობილია, რომ ელისო ვირსალაძის რეპერტუარს ამშვენებენ კლასიკური მუსიკის ისეთი ნიმუშები, როგორიც არიან მოცარტის, ბეთჰოვენის, შუმანისა და ჩაიკოვსკის საფორტეპიანო კონცერტები, და ახლა კიდევ შოპენი.

უსმენ ელისო ვირსალაძეს, და არ იცი, რას მიაკუთვნო უპირატესობა — მის ბრწყინვალე ტექნიკას, მაღალ ემოციურობას, დიდ განცდებს თუ საერთო მუსიკალობას.

კონცერტის მეორე ნაწილი ლირიკული „ადაჟიო“ ე. ვირსალაძის შესრულებით ჟღერდა როგორც წარმტაცი სიმღერა, ზოგჯერ ნაღვლიანი, ზოგჯერ აღფრთოვანებული, ზოგჯერ იდუმალი...

ტაუნო ჰანიკაინენმაც ფაქიზი აკომპანემენტით ხელი შეუწყო ახალგაზრდა სოლისტის წარმატებას.

ს. ფანიანელი.

სურათზე: ფინელი დირიჟორი ტაუნო ჰანიკაინენი და ელისო ვირსალაძე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

უცხო ენათა შესწავლა

მოსკოვი, 9 აპრილი. (საკდესი). 1965 წელს სსრ კავშირში დამატებით გაიხსნება დაახლოებით 700 სპეციალიზებული სკოლა, სადაც სწავლება იწარმოებს ერთ-ერთ უცხო ენაზე: ინგლისური, ფრანგული, გერმანული, ესპანური, არაბული, ჩინური, ჰინდი და ურდუ ენებზე. ახლა მარტო რუსეთის ფედერაციაში, ბელორუსიასა და უკრაინაში 503 ასეთი სკოლაა.

იტალიელი სტუმრები

სსრ კავშირის კინემატოგრაფიის მუშაკთა კავშირისა და „სსრ კავშირ-იტალიის“ საზოგადოების მოწვევით მოსკოვს ჩამოვიდა თვალსაჩინო იტალიელ კინომოღვაწეთა დელეგაცია. დელეგაციის შემადგენლობაში არიან „იტალია-სსრ კავშირის“ საზოგადოების გენერალური მდივანი პროფესორი პაოლო ალტარი, რომის ექსპერიმენტული კინოცენტრის დირექტორი ლეონარდო ფიორავანტე და სხვები.

საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს იტალიელი სტუმრები შეხვდებიან საბჭოთა კინემატოგრაფისტებს. მოსკოვის გარდა, დელეგაცია ეწვევა ლენინგრადს, თბილისს.

ტელეგადაცემებს მოვისმენთ ორ ენაზე

ახლა ჩვენს ცხოვრებაში ტელეგადაცემები საფუძვლიანად დამკვიდრდა. ოჯახებში, სადაც ტელევიზორები დგას, ყოველ საღამოს შეუნელებელი ინტერესით მოელიან ხოლმე პროგრამის დაწყებას. და მართლაც, რა სასიამოვნოა, როცა შინ ხარ, შენ მახლობლებს შორის, და ისმენ კარგ კონცერტს ანდა უყურებ ფეხბურთის საინტერესო მატჩს.

მაგრამ ან ტელევიზორი დაზიანდა, გამოსახულება გაქრა. უმწეოდ შეჰყურებთ „ავადმყოფს“ და არ შეგიძლიათ „უმკურნალოთ“. ასეთ შემთხვევაში შეგიძლიათ მიმართოთ საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტროს ტელევიზიო და რადიომიმღებების ქსელის დირექციას, რომელსაც თბილისის თითქმის ყველა რაიონში აქვს გახსნილი სახელოსნოები. დირექციის ფილიალები მოწყობილია აგრეთვე სოხუმში, გორში, კასპში, რუსთავში. მალე სახელოსნო ამუშავდება ცხინვალში.

სატელევიზიო და რადიომიმღებების ქსელის მუშაკები მფლობელს უფასო საგარანტიო მომსახურებას უწევენ ტელევიზორის დადგმიდან 6 თვის განმავლობაში. შესაკეთებელ მასალას კი ისინი იღებენ იმ საწარმოებიდან, სადაც ამზადებენ ტელევიზორებს. ამისათვის დირექციას ამ საწარმოებთან დადებული აქვს ხელშეკრულება. ტელევიზორის შეძენისთანავე მომხმარებელი მიმართავს სატელევიზიო რადიომიმღებების ქსელის დირექციას. იქ ტელევიზორს აღრიცხავენ და ადგენენ საგარანტიო-საყოფაცხოვრებო ბარათს. აშკამდე დირექციაში ინახება 80.319 ტელევიზორის საყოფაცხოვრებო ბარათი.

ტელევიზორების შეკეთების გარდა დირექციის ლაბორატორიის მუშაკები აწარმოებენ სხვადასხვა ტიპის ტელევიზორებზე დაკვირვებას და სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს მთავარ რადიოსამმართველოს მეშვეობით აღრიცხულ დეფექტებსა და ნაკლოვანებებს ატყობინებენ საწარმოებს ამავე დროს სამმართველოდან იღებენ საჭირო ტექნიკურ ლიტერატურასა და ინსტრუქციებს.

დირექციასთან ჩამოყალიბებულია ყოველწლიური კურსები, სადაც რადიომექანიკოსები გადიან აუცილებელ სასწავლო პროგრამას.

— აღსანიშნავია, რომ ჩვენი მომსახურების ფარგლები თანდათანობით გაფართოვდება, — გვეუბნება სატელევიზიო და რადიომიმღებების ქსელის დირექტორი ა. საათაშვილი, — წელს განზრახულია ამუშავდეს ქუთაისის ტელეცენტრი. ამ ცენტრის ამუშავების შემდეგ, ჩვენ გაეხსნით ფილიალებს ქუთაისში, ტყიბულში, ზესტაფონში, სამტრედიაში, ფოთში, ხოლო ქუთაის-სოჭის მეორე რიგის მშენებლობის დამთავრების შემდეგ მოვემსახურებით აფხაზეთის ქალაქებს.

მალე ჩვენს ტელემაყურებლებს, საშუალება მიეცემათ გადაცემები მოისმინონ რუსულ ან ქართულ ენაზე ანდა პირიქით. ამისათვის ტელეცენტრში გადამცემ სადგურთან მონტაჟდება სათანადო აპარატურა. ჩვენთან მოსულია ლენინგრადის კავშირგაბმულობის კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა მიერ შემუშავებული სქემა ტელევიზორთან დამატებითი დანადგარისა, რომლის დამზადებასაც უმოკლეს ხანში შეუდგებიან დირექციის სახელოსნოები. სწორედ ამ დანადგარის მეშვეობით მოხდება ტელევიზორების გადაკეთება.

ლ. ტატიშვილი.

ისინი **საბავშვო ბაღში იზრდებიან, იქ დამეგობრდნენ და მუდამ ერთად არიან, ერთად თამაშობენ და ერთობიან ჩვენი ჩიორები.**

ფოტოეტიუდი **შ. ჩხეტიანისა.**

კასპის მარკით საგზაურგარეთ

კასპი. (საკ. კორ.). ელექტროაპარატურის ქარხნის ახალგაზრდა კოლექტივი დახელოვნდა მაგნიტური სადგურების დამზადებაში. ამ სადგურებზე დიდი მოთხოვნილებაა არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც.

შარშან კასპური მაგნიტური სადგურების დიდი პარტია გაიგზავნა ჩინეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ბულგარეთში, რუმინეთში, ინდონეზიაში, კუბაში, ერაყში და სხვ.

მოსწავლეებმა ამხილეს გრაკონიერი

ნაკრძალის ყველა ბინადარი თავისებურად ხელშეუხებელია — მათი მოკვლა აკრძალულია, მაგრამ ზოგიერთი ბრაკონიერი მაინც არღვევს ამ წესს.

ასე მოიქცა ვაშლოვანელი ახალგაზრდა ნოე ბაღდავაძე. ერთ მზიან დღეს ხელში თოფი აიღო და სახუნდარაში ჩასაფრდა. ბრაკონიერმა მალე თვალი მოჰკრა შვლის ნუკრს, და ბუნების ეს მშვენიერი არსება ერთი გასროლით მოკლა.

თოფის ხმამ დააინტერესა სოფელ ყვიბისის საშუალო სკოლის მოსწავლეები ა. და ბ. გელაშვილები, რომლებიც ტყეში სასეირნოდ იყვნენ.

მოსწავლეებმა იცნეს და კიდევაც ამხილეს ბრაკონიერი. ნ. ბაღდავაძეს სახლში უნახეს შვლის ტყავი და თოფი.

ბრაკონიერი მალე წარსდგება სახალხო სასამართლოს წინაშე.

მოსწავლეთა კეთილშობილური საქციელი მისაბაძია.

ლ. ჩადუნელი,
ბორჯომის მილიციის საქალაქო განყოფილების მუშაკი.

ტელეგადაცემებს მოვისმენთ ორ ენაზე

ასორმოცი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ლონდონის მახლობელ ქალაქ რეგბიში შედგა პირველი შეჯვედრა სპორტის მამაშინ ჯერ კიდევ უცნობ სახეობაში, რომელსაც ქალაქის პატივსაცემად რეგბი უწოდეს.

დიდი ხანი არ არის, რაც რეგბიმ თბილისშიც მოიკიდა ფეხი. დროის მცირე მონაკვეთი საკმარისი აღმოჩნდა ამისათვის, რომ იგი მასობრივი და პოპულარული გახდარიყო.

წელს თბილისელებს ბევრი პასუხსაგები შეჯიბრება მოელით. რამდენიმე დღის შემდეგ გაიხსნება ქალაქის საგაზაფხულო პირველობა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს პოლიტექნიკური, სასოფლო-სამეურნეო, პედაგოგიური ინსტიტუტების, სახელმწიფო უნივერსიტეტის, „სპარტაკისა“ და სხვა გუნდები.

პირველობას გაიმამაშებენ აგრეთვე მოზარდები, რომელთა რიცხვი სწრაფად იზრდება. მაისში თბილისს ესტუმრება მოსკოვის „ტრუდი“, რომელიც გამართავს რამდენიმე საქალაქთაშორისო შეჯვედრას. მეტად საინტერესო მატჩები მოეწყობა ივლისში კისლოვოდსკსა და პიატიგორსკში, სადაც გათამაშებული იქნება საბჭოთა კავშირის პირველობა უმაღლესი სასწავლებლების გუნდებს შორის. ამ შეჯიბრებაზე თბილისი წარმოდგენილი იქნება ორი გუნდით.

გ. მრელაშვილი,
რეგბის საქალაქო სექციის თავმჯდომარე.

უცხოელი ტურისტები გათუმში

ბათუმი. (საკ. კორ.). **ამ დღეებში ბათუმის ნავსადგურში ღუზა ჩაუშვა თბომავალმა „ტრანსილვანიამ“, რომელმაც მიმდინარე წლის ტურისტული სეზონი გახსნა. მან 410 უცხოელი ტურისტი ჩამოიყვანა. ესენი არიან რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის საზღვაო ფლოტის მუშაკები.**

ბათუმელებმა რუმინელ მეგობრებს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს. პიონერებმა ცოცხალი ყვავილების თაიგულები მიართვეს სტუმრებს.

რუმინელმა ტურისტებმა დაათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები, იყვნენ ბოტანიკურ ბაღში, ჩაქვის ლენინის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში, სადაც ესტუმრნენ მუშებსა და აგრონომებს.

ჟურნალისტი

რეგბისტთა სტარტის წინ

ბუდაპეშტში შედგა საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება იუგოსლავიის, ავსტრიის, უნგრეთისა და საბჭოთა ძიუდოისტთა შორის. საბჭოთა მოჭიდავეთა შორის იყვნენ **ა. კიკნაძე** (მძიმე წონა), **ა. ბოგოლიუბოვი** (მსუბუქი წონა) და **ა. ბონდარენკო** (საშუალო წონა).

წარმატებით გამოვიდა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი ა. კიკნაძე, რომელმაც ყველა შეხვედრა მოიგო და პირველი ადგილი დაიკავა. პირველი ადგილი დაიკავა აგრეთვე ა. ბოგოლიუბოვმა. ა. ბონდარენკო მესამე ადგილზე გამოვიდა.

ინგლისელ ბიჯოლოგთა ექსპედიცია

ინგლისელ ბიჯოლოგთა ექსპედიცია ჩავიდა ბორნეოს კუნძულზე. ექსპედიციის მიზანია ბორნეოს ტროპიკული ტყეების ბიოლოგიური ბუნების შესწავლა.

ინგლისელ ბოტანიკოსთა ექსპედიცია

ინგლისელ ბოტანიკოსთა ექსპედიცია ჩავიდა ბორნეოს კუნძულზე. ექსპედიციის მიზანია ბორნეოს ტროპიკული ტყეების ბიოლოგიური ბუნების შესწავლა.

ბ. ბოტვინიკმა უაიმს მიაღწია



მოსკოვი, 9 აპრილი. (ტელეფონით, სპეც. კორ.). მერვე პარტიის მცირედი ანალიზითაც კი ნათელი იყო, რომ მსოფლიოს ჩემპიონი პაიკს აგებდა. მაგრამ ამის შემდეგ პარტიის მოგების რეალური გზები არ ჩანდა. ჯერ ერთი, დაფაზე ფიგურების მცირე რაოდენობა იყო დარჩენილი, მეორე ის, რომ სხვადასხვა ფერის ეს ცხენები ერთმანეთს ეშალა ფეხებში. ბოტვინიკმა ამ ორ ფაქტორზე ააგო თავდაცვა. ბოტვინიკმა. უპირველეს ყოვლისა მან პასიური პოზიცია დაიკავებინა შავებს კუს. ორი პაიკის გაცვლით ბოტვინიკმა მოუსპო პეტროსიანს მოგებაზე თამაშის საშუალება. მას შემდეგ, რაც დაფაზე პეტროსიანის ეტლის, კუსა და ორი პაიკის წინააღმდეგ ბოტვინიკის ეტლი, კუ და პაიკი დარჩა, პრეტენდენტმა თვით შესთავაზა მეტოქეს ყაიმი 55-ე სვლაზე.

ამრიგად, მატჩის ანგარიში გახდა 4,5:3,5 პეტროსიანის სასარგებლოდ.

ხვალ ესტრადის თეატრის შენობაში გაიმართება მეცხრე პარტია.

ასორმოცი

ასორმოცი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ლონდონის მახლობელ ქალაქ რეგბიში შედგა პირველი შეჯვედრა სპორტის მამაშინ ჯერ კიდევ უცნობ სახეობაში, რომელსაც ქალაქის პატივსაცემად რეგბი უწოდეს.

ბ. ბოტვინიკმა უაიმს მიაღწია

მოსკოვი, 9 აპრილი. (ტელეფონით, სპეც. კორ.). მერვე პარტიის მცირედი ანალიზითაც კი ნათელი იყო, რომ მსოფლიოს ჩემპიონი პაიკს აგებდა. მაგრამ ამის შემდეგ პარტიის მოგების რეალური გზები არ ჩანდა. ჯერ ერთი, დაფაზე ფიგურების მცირე რაოდენობა იყო დარჩენილი, მეორე ის, რომ სხვადასხვა ფერის ეს ცხენები ერთმანეთს ეშალა ფეხებში. ბოტვინიკმა ამ ორ ფაქტორზე ააგო თავდაცვა. ბოტვინიკმა. უპირველეს ყოვლისა მან პასიური პოზიცია დაიკავებინა შავებს კუს. ორი პაიკის გაცვლით ბოტვინიკმა მოუსპო პეტროსიანს მოგებაზე თამაშის საშუალება. მას შემდეგ, რაც დაფაზე პეტროსიანის ეტლის, კუსა და ორი პაიკის წინააღმდეგ ბოტვინიკის ეტლი, კუ და პაიკი დარჩა, პრეტენდენტმა თვით შესთავაზა მეტოქეს ყაიმი 55-ე სვლაზე.

ამრიგად, მატჩის ანგარიში გახდა 4,5:3,5 პეტროსიანის სასარგებლოდ.

ხვალ ესტრადის თეატრის შენობაში გაიმართება მეცხრე პარტია.

ძიუ-დოისტთა ტურნირი

ბუდაპეშტში შედგა საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება იუგოსლავიის, ავსტრიის, უნგრეთისა და საბჭოთა ძიუდოისტთა შორის. საბჭოთა მოჭიდავეთა შორის იყვნენ **ა. კიკნაძე** (მძიმე წონა), **ა. ბოგოლიუბოვი** (მსუბუქი წონა) და **ა. ბონდარენკო** (საშუალო წონა).

წარმატებით გამოვიდა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი ა. კიკნაძე, რომელმაც ყველა შეხვედრა მოიგო და პირველი ადგილი დაიკავა. პირველი ადგილი დაიკავა აგრეთვე ა. ბოგოლიუბოვმა. ა. ბონდარენკო მესამე ადგილზე გამოვიდა.

ოლტორგოლა „ზუზუმგოზე“

თელავი. (საკ. კორ.). თელავის დასავლეთით, „ზუზუმბოს“ გორაზე გაიმართა მოტორბოლა საქართველოს პირად პირველობაზე, რომელიც ცენტრალურმა ავტომოტოკლუბმა მოაწყო. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის უძლიერესი სპორტსმენები.

350 კუბური სანტიმეტრის მოტოციკლებით ასპარეზობაში ათზე მეტი სპორტსმენი იბრძოდა. პირველი ადგილი ხვდა თბილისის დოსაააფის წარმომადგენელს სპორტის ოსტატს ვ. კლიმენტიევს. მეორე ადგილი დაიკავა თელაველმა მ. ბეგიჯანოვმა, მესამე — თბილისელმა დ. კაპანაძემ.

125 კუბური სანტიმეტრის მოტოციკლებით შეჯიბრებაში პირველ ადგილზე გამოვიდა რუსთაველი წარმომადგენელი ს. ტატვინიძე. მეორე ადგილი დაიკავა სპორტის ოსტატმა კ. ცალკალამანიძემ (საბჭოთა არმია), მესამე — კ. ნედერმა (რუსთავი).

„დუკლა“—თასის მფლობელი

დამთავრდა ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშება ხელბურთში ვაკთა გუნდებისათვის. ფინალური ასპარეზობა შედგა პარიზში, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ პრაღის „დუკლასა“ და ბუქარესტის „დინამოს“ გუნდები. მძაფრ ბრძოლაში გაიმარჯვეს „დუკლას“ ხელბურთელებმა ანგარიშით 15:13 (5:10).

ამრიგად, პრაღის „დუკლას“ ვაკთა გუნდი ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი გახდა.

ქალთა გუნდების ასპარეზობის ფინალი შედგება 15 აპრილს პრაღაში.

სპორტული ქრონიკა

□ **პარაღი.** მსოფლიო ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში სპორტის მოყვარულთა ყურადღების ცენტრშია. ჯერჯერობით დაუმარცხებლად იბრძვიან და ნახევარფინალში თამაშის უფლება უკვე მოიპოვეს იაპონიისა და ჩინეთის ქალთა და ვაკთა გუნდებმა, რომლებსაც ჩემპიონობის პრეტენდენტთა პირველ რიგებში აყენებენ. ამ მხრივ საბჭოთა სპორტსმენებს არასახარბიელო მდგომარეობა აქვთ, ისინი უკვე ვერ ხვდებიან ნახევარფინალში, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი მატჩები წარმატებით ჩაატარეს.

□ **საბჭოთა** ძალოსნებს „უხმოსავლიანი“ სეზონი აქვთ. მათი გამოსვლები ფიცარნაგზე მეტწილად ხასიათდება წარმატებით, ამყარებენ ახალ რეკორდებს. ხაბაროვსკში სოლოქო სპარტაკიადაზე ქვემძიმე წონის შტანგისტმა ვ. გოლოვანოვმა აჭიმვაში აჩვენა 160,5 კილოგრამი და სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა. რეკორდებზე იერიში მიაქვთ აგრეთვე სოციალისტური ქვეყნის ძალოსნებს. მაგალითად, საშუალო წონაში უნგრელმა დ. ვერეშმა აკრაში ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა, რაც 184 კილოგრამს უდრის.

რედაქტორი
დ. მჟედლიშვილი.

სიცოცხლის ხანგრძლივობის პრობლემა

მეცნიერება და ცხოვრება

ეკადემიკოსი ივანე პავლოვი ამბობდა: „ადამიანი ბედნიერია, ოღონდ ეცოდინოს, ბედნიერი რისთვის ხარ“. ეს ფრაზა ეხება ადამიანის ცხოვრებას, ადამიანის ბედნიერებას, ადამიანის ბედნიერ ცხოვრებას. ეს ფრაზა ეხება ადამიანის ბედნიერ ცხოვრებას, ადამიანის ბედნიერ ცხოვრებას, ადამიანის ბედნიერ ცხოვრებას.

ეკადემიკოსი ივანე პავლოვი ამბობდა: „ადამიანი ბედნიერია, ოღონდ ეცოდინოს, ბედნიერი რისთვის ხარ“. ეს ფრაზა ეხება ადამიანის ბედნიერ ცხოვრებას, ადამიანის ბედნიერ ცხოვრებას, ადამიანის ბედნიერ ცხოვრებას.

ეკადემიკოსი ივანე პავლოვი ამბობდა: „ადამიანი ბედნიერია, ოღონდ ეცოდინოს, ბედნიერი რისთვის ხარ“. ეს ფრაზა ეხება ადამიანის ბედნიერ ცხოვრებას, ადამიანის ბედნიერ ცხოვრებას, ადამიანის ბედნიერ ცხოვრებას.

„ოქტომბერი“ — „ბაკინელ კომისრებს“

ოქტომბერი — „ბაკინელ კომისრებს“ — „ბაკინელ კომისრებს“ — „ბაკინელ კომისრებს“.

„ოქტომბერი“ — „ბაკინელ კომისრებს“

ოქტომბერი — „ბაკინელ კომისრებს“ — „ბაკინელ კომისრებს“ — „ბაკინელ კომისრებს“.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

თეატრები

10 აპრილი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — ტრავიატა (მე-4 აბონ. მე-7 სპექტაკლი), **რუსთაველის სახელობის** — სასწაულმოქმედი (მე-16 აბონ. მე-5 სპექტაკლი), **მარჯანიშვილის სახელობის** — მაია წყნეთელი (მე-4 აბონ. მე-4 სპექტაკლი), **გრიბოედოვის სახელობის** — ეზოში ავი ძაღლია, **სანკულტურის** — ოჯახური დავიდარაბა, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ფიფქა და შვიდი ჯუჯა (აბონ. № 32, დილის 10 ს., აბონ. № 31, 3 ს. 30 წ.), **თოჯინების ქართული** — ფიფქიას სკოლა (11 ს. და 2 ს.), **კონსერვატორიის დიდი დარბაზი** — საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის კონცერტი.

10 აპრილი

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, კოლხიდა, ისანი — მესამე ტაიმი, **სპარტაკი, საქართველო** (წითელი დარბაზი), **პლეხანოვის სახელობის კლუბი, ყაზბეგი** (პირველი დარბაზი) — ცოდვილი ანგელოზი, **თბილისი, გორკის სახელობის კულტურის სახლი, ოფიცერთა სახლი** — ქარიშხალს მოიმკი (I-II სერია), **კომკავშირელი** — როკო და მისი ძმები (I-II სერია), **26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი), **კოლმეურნე, კიროვის სახელობის პარკი, ნაკადული** — სიყვარული სიმღერაში (I-II სერია), **26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი), **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **ბოჭიკაძის სახელობის კლუბი, კომუნარების ბაღი, გაზაფხული** — ცეკვები შაბათს, **დიდუბე, ყაზბეგი** (მეორე დარბაზი) — ცარიელი რეისი, **კოსმოსი** — კაპიტან ლოის სიზმარი, **თანამგზავრი** — „45“-ის კვადრატში.

ტელევიზია

10 აპრილი

17.15 — ფეხბურთის მატჩის რეპორტაჟი თბილისის „დინამოს“ სტადიონიდან, 19.00 — ყველაზე პატარებისათვის — „ცეროდენას ეკრანი“, 19.10 — გადაცემა მოსწავლეთათვის — „დღეს კულტურაზე ვისაუბროთ“, 19.20 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 20.00 — გადაცემა — „სიახლენი საქართველოს რუკაზე“, 20.15 — კინონარკვევი, 20.35 — გადაცემა — „ქართველი კინომოღვაწეები“, 21.05 — ახალი ამბები, 21.20 — მხატვრული ფილმი — „კეთილი ადამიანები“.

რადიო

11 აპრილი

პირველი პროგრამით

06.40 — ო. გორდელისა და ნ. გიგაურის ვალსები, 07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 08.30 — მსუბუქი მუსიკა, 09.10 — ვ. აზარაშვილის სონატა ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის, 11.15 — კონცერტი ბ. კვერნაძისა და ს. ნასიძის ნაწარმოებებიდან, 12.00 — აპარის რადიოს გადაცემა, 12.15 — სოპერეტა მუსიკა, 13.40 — ა. ბალანჩივაძე. საბალეტო სიუიტა „მთების გული“, 17.15 — პიესები საესტრადო ორკესტრისათვის, 17.30 — გადაცემა მოსწავლეთათვის — „კომკავშირელი აქტივისტები“, 18.10 — მუსიკალური რადიოვიქტორინა, 18.45 — სავიოლინო პიესები, 19.30 — რადიოკომპოზიცია — „ჩვენი ცხოვრების ფურცლები“, 20.15 — „ძილის-პირელი“, 20.30 — რ. შტრაუსი. ოპერა „ვარდების კავალერი“, 22.10—გადაცემა — „პეტრე ოცელი“, 23.30 — ქართული მსუბუქი მუსიკა.

მეორე პროგრამით

20.30 — საუბარი „სამი მსოფლიო რეკორდი“, 20.45 — სიმფონიური მუსიკის **კონცერტი**, 22.00 — ჩინგზ ბიატმატოვის **მოთხრობა „პირველი** მასწავლებელი“.

** კომუნისტი** Комунисти ИНДЕКС 66443

თბილისი, ლენინის 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03, 3-08-67, პ/მგ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 3-46-10 განყოფილებებისა: პარტიული, მრეწველობის, — 9-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-22-89, სოფ ლის მეურნეობის — 3-32-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწ. და სკოლების — 3-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების, ინფორმაციის — 3-16-90, წერილ ების — 9-73-24, ხაილუსტრაციო — 3-20-43, განცხადებების — 9-94-42.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

უე 05899

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.

2